

მუზეუმი

# საბჭოთაობა

№ 1

1917

ზინეარანი: ეშმაკი — პრეტეკია; შორიელი — სახალწლო მლოცვები; ქოლო — სახალწლო შარადა; ხუ- მარა — სახალწლო ნობათი; ლუკაიკს ობოლი — სადღესას-

წაულო ნატვრა; სახალწლო მილოცვები: ხუნაგა და დანისი და ქოლოა — ქეთაისი; შორიელი — თფილისი; X — ტი- ოერა; და სხვა და სხვა სურათები.

## კველი და ახალი



26280

54458

ძველი წელი. აწ შვიდობით, შეილო, ეამი აღმესრულა... ფარაჯის გიტოვებ, თუ ის არ გესრულა:

გაუძელ, როგორმე ვაიტანე თავი... ისტორია დაფ... ცოტა შესათხავემ რა მვეული



საქართველოს... მარტაშვილი... მისლითთაჲა

# პროტექცია

უნდა გამოგიტყდე.—ეს გრძელ წვერა, დახვესებული მოხუცი წინეთაც მინახავს სადღაც. კარგათკი ვერ აღმიდგენია მესხიერებაში, თუ სა... ან როდის მინახავს იგი.

ის უთუოდ იმერელია.

— არა, ის ქართლელი უნდა იყოს...

— ეინ იცის, იქნებ კახეთიდან ვიცნობ.

— შეიძლება ქართველი სრულიადაც არ იყოს; იმისი ერთობ გრძელი წვერის და ფეხარივით დაყრილი თმა ძველს ებრაელს უფრო მოგაგონებს.

ასე ვეკამათებოდა ჩემს თავს, ვიდრე მოხუცი კარებს შამოალებდა, მოსასხამს მოხილდა, ხელებს ჩაიფშენტდა და ჩემს წინაშე წარმოსდგებოდა.

— ეშმაკი თქვენა ბრძანდებით?

— დიახ, მე ვახლავარ. ახლოს მობრძანდით, აი სკამი ინებეთ.

— ახირებულნი სახელი აგირჩევიათ.

— ყველაფერი გემოვნებაზე ჰკილია. სასურველია ვიკოდე ვის ვემუქსაიფებო.

— ჯამი.

— როგორაო?

— ჯამი.

— ახირებულნი და უცნაური სახელი სწორეთ თქვენ აგირჩევიათ.

— დაგეთანხმებოდით, რომ მის არჩევაში მე თუნდაც მცირედენი მონაწილეობა მიმეღო. სხვათაგან ბოძებულია.

— უცნაურობას ამით არაფერი აკლდება. მართალია ეშმაკი შინა გვრის ხალხს, მაგრამ ჯამის გაჩენა ჩვენში უღიდეს უბედურებათ არის მიჩნეული.

— საქირთთ ვთელი განვმარტო, რომ ჩემს სახელს „შე ჰირთან“ და „შე-ქამთან“ საერთო არაფერი აქვს, იგი სულ სხვა ძირისაგან წარმოსდგება, მაგრამ ამ ჯამად მე თქვენთან სულ სხვა საქმეზე ვარ მოსული და თუ ნებას მიბოძებთ...

— ბრძანეთ, ბრძანეთ... თუ კი შემეძლება...

— შეილი მყავს ავა...

— უჰ, ... საბრალო!

— სულ რამოდენიმე საათი და სულსაც დაღვეს...

— რას ბრძანებთ!.. ნუთუ შეველა არ შეიძლება? იქნებ გასურთ გამართულთან მიგვეზავნო?..

მოხუცს სახე არ შესცვლან, მხოლოდ მარცხენა თვალის გასწვრივ ერთმა ძირლვამ დადნა ვაითამაშა და სახე დიმილის ელვასავით გაანათა.

— ტყუილი ნუგეზია! მე ვიცო, რომ იმას ველარაფერი იხსნის. ზოგიერთებმა კიდევაც გამოაცხადეს იმისი სიკვდილი.

— შეიძლება თქვენ მართალიც იყოთ, მაგრამ ჩვენ ყოველ შემთხვევაში ჩვენი საცდელი არ უნდა მივაცლოთ: თუ უშველის რამეს ხომ კარგი, თუ არა და გულის მინც შეეჯერებთ.

— გარწმუნებთ, მთელი ქვეყნის ექიმები მთელი ქვეყნის აფთიაქებითურთ მას სიკვდილისაგან ვნღარ იხსნის. ეს არც პირველი და მით უმეტეს არც უკანასკნელი მაგალითია ჩემს სიცოცხლეში; მითმაღ შევეჩვიე და ცრემლი შემაშრა.

— მაშ რა ვქნათ, რა გასურთ ჩემგან?

— მე მინდა თქვენი დახმარება, რათა მიცვალბებული ქართულ პანთოფონში დაიკრძალოს.

— პანთოფონში?

— დიახ, ქართულ პანთოფონში. თქვენ შეგიძლიათ ამის მოხერხება.

— არა მგონია, მე თქვენი თხოვნის ასრულება შემეძლოს. აქ ისეთი გავლენიანი პირების აზრია საჭირო, როგორიც არიან...

— ვიცო, ვიცო. ბავშვი აღარა ვარ ასეთი უბრალო რამ არ მესმოდეს. მე მხოლოდ გზის ჩვენება მინდა და თქვენგან აი ამ დახმარებას მოვითხოვე.

— დიდის სიამოვნებით. პირველ ყოვლისა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას უნდა მივმართოთ. იმათ სიტყვაზე ძლიერ ბევრია დამოკიდებული.


— ნუთუ ისეთი უგულონი არიან, რომ დამწუხრებული ქირისუფლის მღვდმარებაში არ შევლენ?

— მინც ნიადაგის მოშაღება საჭირო. თქვენ მიმართეთ ქ-ნ ნატას. ის დიდი მეგობარია ქ-ნი თინათინისა, ხოლო ეს უკანასკნელი შეიღს უნათლავს გამგეობის წევრის სოლომონის მეუღლეს.

— ჩინებული აზრია, მაგრამ ქ-ნ ნატასთან ვინ მივაგზავნო?

— გრიგოლ ყბედიშვილი მისი განუყრელი მეგობარ თანამგზავრია. აგარაჯბედაც კი ერთად დადიან.

— თქვენ ის მიბრძანეთ: ხელცარიელი მისულა შეიძლება?



— მისვლა შეიძლება, მაგრამ შედეგი არ ექნება სასურველი. ქრთამს რასაკვირველია არ იღებს, მაგრამ საჩუქარს თუ რასმე მიართმევ ამით არაფერი დაწავლება.

— ეს ერთი კაცი... სხვა?

— აღნიშნულ საზოგადოებაში მასზე ბევრია დამოკიდებული. საჭიროა ახლა კულტურულ საზოგადოებათა კავშირში ვიშოვოთ ვინმე.

— იქ მე თითქმის არავის არ ვიცი.

— პირადი ნაცნობობით ან კი რა უნდა გამოვიდეს. საჭიროა პროტექცია. ჩემის აზრით თქვენ უნდა მიმართოთ კენინა დარეჯანს. აი პოეტი ქალი რომაა. მის უფროს ქალს კარგის თვლით უტყერის თავადი ლევან ჯორაძე, ხოლო ამ უვანასკნელის მეთუღლესთან ფრიად კეთილ განწყობილებათა კავშირის გამგებობის წევრის ძმა თადეოზი. თუ თადეოზი მოისურვებს...

— მიკვირს, რატომ არ უნდა მოისურვოს, მთავრობის საწინააღმდეგოს ხომ არაფეს ესთხოვთ დიდი საქმეა ხმა დაგვაწიოს?

— დიდი არ არის, მაგრამ თავის შეწუხებთ მაინც სჭირია.

— ძალიან კარგი... ერთი ვახშამი გაუშაროთ ახალ კლუბში...

— ოოო! ჩინებული აზრია. მაგ საშუალებით დრამატულ საზოგადოების გამგეობაშიაც ვიშოვოთ ვისმე.

— განა ისიც საჭიროა?

— რასაკვირველია! თქვენ უნდა ინახულოთ პრაპორშიკ რევაზ ისარაშვილი, რომელიც მუდამ თანასდგეს მსახიობ ქალს თეკლე ზეფიერელს. პრაპორშიკ რევაზს ქვიფი ძლიერ უყვარს და თუ ამ მხრივ მოვინაღირებთ, ის აიძულებს თეკლე ზეფიერელს ვანო კოდალაძის საშუალებით რაც უნდა ის ათქმეინოს გამგეობის წევრს ნოშრევან ჩიპურტანიძეს.

— ანტონის სიტყვას აქვს რაიმე მნიშვნელობა?

— უმჯველათ. იმედია მაქვს, რომ სიტყვას უმჯველათ იტყვის. ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვენი ვაჟი ღირსი კია პანთონისა? ხომ იცით იქ რა მოღვაწეობთ გვისცენია?

— გატრუნებთ რომ ღირსია. მეტსაც ვიტყვი: მიუხედავად მისი ხანმოკლე ცხოვრებისა იმდენი ღვაწლი მიუძღვის მას მთელი კაცობრიობის წინაშე, რომ მისი სახელი მითა ეამში დარჩება.

— საკვირველია სწორედ იმდენი წლისა არის?

— მეთორმეტე თვე უთავდება.

— როგორ? ჯერ ერთი წლისაც არ არის?

— წარმოიდგინეთ, რომ არა, იმედი კი მაქვს, რომ ამ თვესაც გასტანს, მაგრამ შემდეგ კი...

— პირველათ მესმის! ასეთი ნორჩი მოღვაწე ჩვენს ქვეყანას სხვა არა ჰყოლია და ამას დიდი მნიშვნელობა ექნება საპანთონო კიხვის გადაწყვეტაში.

— რამდენათაც ვიცი, მთელი ქართველი ერი, უმეტეს მისი ეროვნული იდეით გატაცებული ნაწილი, დიდს იმედებს ამყარებდა ჩემს შეილზე.

— რა მხრივ არის თქვენი ვაჟი ეგზომ საყურადღებო?

— მხოლოდ იმედის. მან დასთესა ჩვენში იმედი ერობისა, იმედი ავტოკეფალიისა და ლაშის ავტონომიის იმედს ჩრდილიც მიაცუნოს.

— ქონება აქვს რაიმე, რომ რომელიმე ქართულ საზოგადოებას დაუტოვოს?

— არაფერი.

— ეს ძლიერ ცუდია.

— სამაგიეროთ მან ხელი შეუწყო არა ერთი-სა და ორი ქართველი კაცის გამდიდრებას.

— ეს მაინც სულ სხვაა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ როცა ისინი დაიხოცებიან ხომ დაუტოვებენ რასმე საზოგადოებას?

— დაუტოვებენ, მაგრამ პანთონშიაც იმით ჩამარხავენ და არა თქვენს შვილს. სწერს რასმე თქვენი ვაჟი?

— ბევრს, ძლიერ ბევრს.

— მიმართულება მისი?

— ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა.

— მაშ პოეტი ყოფილა

— დრამებსაც სწერს. უნდოდა დაემთავრებია ერთი უდიდეს დრამატულ ნაწარმოებათაგანი, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ვაი!...

მოულოდნელათ წამობახა მოხუცმა და თვალზე ხელი მიიფარა.— ის უკვე განსვენა! შწუხბრე კილოთი წარმოსთქვა მან. საათს დაფხედე. სრული შუალამე იყო.

— სახელი თქვენი ვაჟისა?


— ის ჯერ მონათლულიც არ არის. მე მათ ნომრებით ვარჩევ, ეს ბიჭი 1916-ტე იყო.

მე თითქო სიზმრებისაგან გამოვერკვეე. საბრალო მოხუცი! ის მართლა ყამია. მისი სახე მე ბევრგან მინახავს დახატული: გრძელი თმითა და გრძელი წვერებით.

მოწიფული შვილის სიკვდილი ახლის შექმნით გაიქარვა და გლოვასთან შეხვედრული აღერსით მიესალამა პატარა მახინჯ არსებას, რომელსაც გულზე პატარა ფირფიტა ეკიდა ზედ წარწერით: — 1917.

ეშმაკი.

ძაბრულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირს.



ერთმა ხენწიფემ ჯოხები შეჭკრა და მისცა შვილსაო. უთხრა:—აბა ჰა თუ გასტეხ ბოშო შენ ფართათ მავენსო? მან აქაჩავა ჯოხები, მარა, პრიწ! ვერ გასტეხაო.

ასე კარგა კავშირი ქე ზიხარ უზრუნველათო. ჩვენ დიდი გგქონდა იმედი აქლემ ცხოველათ გთულიდითო, მარა ვინ მოიფიქრებდა რწყილს დაბადებლი შენაო.

სოლ. ზურგიელიძე.

საახალწლო მიღწევა

თ ფ ი ლ ი ს ი

(ორიოდე სიტყვა)

ეს ორიოდე სიტყვა დიდი აზრის განმარტებას ვგესურს მოვახმაროთ. „ეშმაკის მათრახის“ რედაქციამ ერთი დიდებული ნაბიჯი კვლავ გადასდგა ქართველი საზოგადოების გათვითცნობიერებაში. რედაქციის დაუღალავე და ნიჭიერმა წევრმა ბ-ნმა მორიელმა თავით ბოლომდე გადასინჯა ჩვენი უკვდავი მგონის სოლომონ ზურგიელიძის თხუზულე-ბათა ტომები, ამოჰკრიფა მუნით საუკეთესო და თანაც ჩვენ საზოგადო დაწესებულებათა მოღვაწე-

ობისათვის შესაფერი ადგილები, ერთ ძვირფას მარგალიტის მძივათ აახხა ისინი და აი საახალწლო ნომართად უგზავნის ძვირფასსა და საყვარელ მკითხველს.

დილიაღვაწლი ბ-ნი მორიელისა და ვფიქრობთ, მკითხველი საზოგადოებაც ჯეროვანათ დააფასებს მას. სოლომონ ზურგიელიძე, ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას,—ქართველი ერისათვის ერთგვარი სფინქსია. მისი ქეშმარიტი არსების ცხად ყოფა, ეს ქართველი ერის ცხოვრების ცხად ყოფაა.

მამ გულდასმით წავიკითხოთ ქვემოთ მოყვანილი ბრძნული ტაეებები; საუკულო ხსენება შეუ-



ვალთ მის გენიოს ავტორს და გუწრფელი მად-  
ლობა მის მომწოდებელს ბ-ნ მორიელს.

**სახალხო მასწავლებელთა კავშირის**

სტავლაზე დაფუძნულია  
შეცნიერების დარგები...

მო, გაენაღოთ ვლენები  
ვილაპარაკოთ ბევრიო.

**ქართულ პანთეონს\*)**

ქინები გუდებს ბერვიდენ  
ღვინო კი არა ქონდათო:  
უკვდავი კაცი თუ არ გყავს  
რა საჭიროა პანთეონი?

**ქალთა საზ. განათლება"-ს**

ქალი ოჯახის მამაა  
უნდა ვასტავლოთ დედებსო...  
თუ არ მიხედავს ვოჯახსა  
მიეფუჭება კერია.

**საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგ.**

თავი და თავი საქმეა  
ძველი ამბების წერვაო  
აბალი ყველამ კი იცის  
ვინც იწერს ჟურნალ-გაზეთებს.

**ქართულ სამეურნეო საზოგადოებას**

პურია საზღო კაცისა  
უმისოთ მოგეშვიდებო...  
თუ კი ბევრი გვაქ პურ-ღვინო  
დავედეთ და ვილაპარაკოთ.

**ქართველ ექიმთა საზოგადოებას**

სიკვდილსა ვერვინ გაუსწრებს  
ვერც ვერსა დაემალები.  
ყოველი კაცი მოკვდება  
ამას აშკარათ ვამბობ მე.

\*) სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ „სახალხო ფე-  
რედი“, ამ ბოლო დროს, სიტყვა „პანთეონს“ აღარ  
ხმარებს. მის მაგიერ სწერს: „ქართველ მოღვაწეთა სა-  
საფლაო“. სისამიონისა ეს გარამოკეს მით უმეტეს, რომ  
ამავე აზრისა იყო ნეტარ ხსენებულ სოლომონიც, რასაც  
ცხად ჰქოფს ზემოაღნიშნული ტყეპი.

**საქველმოქმედო საზოგადოებას**

რაკ მე მაქ, იგი უმცროსი  
რაკ შენ გაქ, იგი მე მინდა.  
ქველმოქმედება ასეთა:  
ის ამას აძლევს, ეს იმას.

**ნიჭიერ ახალგაზრდათა დამხმარე საზოგადოებას**

კუკი გულისთვის ქუნხაა  
გულ-ღვიძლი ტვინის ბურჯია.  
კარგი ქამა და კარგი სმა  
კუქსაც არგებს და კუქსაც.\*)

**ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას**

მხატვრობაც დიდი საქმეა  
არ უნდა ლაპარაკიო.  
მაშ შევიძინოთ ტილონი  
მონასტრებს მივაშუროთია.

**ქრთველ მოღვაწეთა აგარაკს**

საცა ბევრია ხეები  
ნაძვებისა და სხვა ხისო  
იქ უნდა ვგზავნოთ თუთოთ  
მოღვაწეები საზაფხულოთა.

**ქართულ კლუბებს**

ისე არა წვიმს სწირ-სწირათ  
რაფერაც ქექს და ქუნხავსო.  
ასეთა ჩვენი ცხოვრებაც,  
მეტს ვყვიროთ სიტყვიერათო.

**კოპერატივებს**

კოპერაციის დუქანი  
გავალოთ თითო ყველაშო.  
ის ნამეტარი კია  
თუ არ შექამეს ფარაო.


**ქართველ მს ხიობებს**

მსახიობს იმას ვეძახი  
ცხვირ-პირი მოუპარკავსო.  
სცენაზე როცა გამოვა  
სუფლოიორს მისჩერებია.

**აურორისგები ილირიონ ზუგნიძისძისა.  
ემოკრებილი და მის დაგებულთა მორიელის მიერ.**

\*\*) უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს აუთორისმა მრავალი  
წლით ადრე დაწერილია, ვიდრე „ნიჭიერ ახალგაზრდათა  
დამხმარე საზოგადოება“ სამაიტინო დუქანს გახსნიდა ძვე-  
ლი სემინარის შენაშაში.

სახსრნათო საკითხი.



სურსათი ყველგვარიო  
დღეს გრძელი კულით არიო.

რაც უნდა ბევრი ვიმჯელოთ,  
კამა ხომ მაინც გვინდაო.

ხოლ. ზურგიელიძე.

სახსრნათო ნოგბათი

დღეს ჩვენში ბევრსა,  
დიდს თუ პატარას,  
ვინც კი ორ ლექსს სწერს,  
აბაჰს პარ-ტარ-ას, —  
ქურუმით მოაქვს  
თავისი თავი,  
თუმც სალოაროში  
უფრინავს ყვაფი.

როცა საკუთარ  
თავის ჯიბეში,  
(ეს საიდუმლოთ  
კი დარჩეს ჩვენში)  
ფელარ პოულობს  
სიბრძნის გასაღებს,  
უცხოებს პარაფს,  
თვისათ ასაღებს.  
თუთუყუშობა,  
იცი, შერჩება  
და ისიც მგოსნობს,  
ზეკაცს ეღრება!

ახლა შენ გკითხავ,  
ძამია „ჩორტი“,  
რომ დაგიღია  
ლლაპივით „როტი“,  
ამის შესახებ  
„დუმამეშ ჩტო ტი“,  
ხომ მოუხდება  
„განწმენდის“ შოლტი?  
ჰო და მათხოვე  
მათრახი შენი,  
რომ სრულ ვყო ბარემ  
ეს განაჩენი;  
არ დავახანო  
ბევრი დრო-ყავი,  
რბილ ადგილს დაცკრა  
თიფოს სამ-სამი. \*)


ხუმარა.

\*) ბევრს, შეიძლება  
მე ეცოტავოს...  
(სქელი ტყავი  
აქვს იქნება „აფოს“.)

თუმანიძე.



არღვილობრივი ენები



არღვილობრივი ენები  
გეკირია თანსიონშიო

ქუთაისში და თიფლისში  
ხონში და სამტრედიასო.

ხოლ. ზურაბიელიძე.

# ქუთაისი

წლიურ ანგარიშს ჩვეულებრივთ ყველა მიმართავს ჩვენს ქვეყანაში, (ბევრს კი ჰგონია ეს გვეზარება ძველიდან ახლის გადაყვანაში).  
 ეპქარს ჩოთქი აქვს საანგარიშო, სხვებს კიღევ თვისი იარაღები, რითაც იკვლევენ, თუ ვის რამდენი აქვს შექენილი და ანაღები.  
 ჩვენ კი განგებამ დაგესჯა კალმით და იარაღით ნაცადით, ამით მტერს, თუ მოყვარეს მიუყუდით თვისას და ნამოკმედარს წარსული წლისას ახალი წელის პირველსა დღესა, (რომ მომავალში კარგათ მიხედესა), გადმოულაგებთ საითთაოთა და გამოვიწვევთ საქიდაოთა.  
 მაშ თუ ასეა ტრადიციაში ნურამც დამტოვებთ მე ნისიაში. სახელოგანთქმულნო, ქუთაისელნო, ჭკუით დამჯდარნო, დარბაისელნო, რომ მოგაგონოთ ნაღვაწი თქვენნი, ოფლი ნაღვარი, ტანჯვა მრავალი და დაგილოკოთ ახალი წლისთვის ფიქრები თქვენი და გზა საეალი.

ხუნაგი.

## ქალაქის თვითვართველობა

შეპარს ვიწვით, პურსაც ვიწვით, და ვაქრობა ხელში ვივდეთ. ვისაც გვინდა შეპარს მივსცემთ, ვისაც გვინდა პურსაც ვაქვმევთ. არ გეგონოთ ასეთ ქვევით, თითქოს ვისმეს ქრამს ვაძლევთ. ქალაქს თაობს ჩიქოვანი, აბღიშვილი პურებსაო და ვინც მათ არ ემონება, (თუ მას პური ენდომება), ის ჩამოყრის ყურებსაო.

ხუნაგი.

## ქალაქის გამგებობას

თქვენს დიად მოღვაწეობას ვით ასწერს ჩემი კალომი, მიიღეთ ჩემგან პირველათ ახალ-წლის დილის სალომი. იდილოს თქვენი სახელი, „იდილი“ საქმიანობა, ქალაქისათვის „ზრუნვა“ და „შრომაში“ „საზრიანობა“. გისურვებთ, კვალად გეყილოთ შავ პურის ფქვილი, დამპალი, თქვენ კი გემზახთ სუფრასთან „არალი, თარი-პარალი“.


დაფნიხი და ქლოია.

მართულ თიბატს



ქართული მეღვინეა  
 ასე გვყავს ახლა ჩვენაო...  
 ვერც მზე დაწვავს იმასა  
 ვერც წვიმა დასველებსო.  
 სოლ. ზურგიელიძე.

ძალადისა ღა ტარამანის'გამგეობას



რაც უფრო მეტათ მოსწორავ  
 წვენიბიც უფრო მისდივა...  
 ჩენ უფასო გვაქ ბილეთი  
 რა გვენადლება სხვებო.  
 სოლ. ზურგიელიძე.






საქართველოს  
წიგნების კავშირი


საქართველოს

დ. შ. ჯ. განმარტებულად საზოგადოების განგებობას



საიხს ჩვენ არა ვცნობილობთ  
კოცხლოთ და სულდგმულოთო,  
მირა იგიც კი მუშავობს  
თუ ვინმე კი მის მომართავს.


სოლ. ზურგიელიძე.



ბურჯულაზია კია  
არ უნდა ლაპარაკიო...  
ფული აქ... იმას ჩვენ მოგვცემს...  
ფული საჭირო არისო.


სოლ. ზურგიელიძე.

ვაშთა პირველ გინაზიას.



აგი შარშინა ისთეა  
ლამაზათ აგებულიო,  
ვისაც მოხდებო კისერში  
ჭურჭაში უკრავს თავისო.

სოლ. ზურგიელიძე.



**ქ. შ. წ. ქ. საზოგადოებას**

პირველათ თქვენ ხართ მოსაგონარი, რადგან მკვდრებს ჩვენში პირველ ვიგონებთ და ნამოდევანს „მკვდარი სულების“ ძალაუნებურ მუდამ ვიწონებთ. სტამბას რომ ჰყიდიდ მეტრი რა შეგრჩაბთ? ვინ გაანათლებთ „განათლებულნი“? მუშებს უწყუნებთ სიტყვა-პასუხსა, „სიტყვის ხელოვნათ“ დაბადებულნი!..

ხუნავი.

**წ. ქ. საზოგადოებას\*)**

0 0 0

**„მეგობარს“**

ვინც აგეკიდა მეგობრათ, ციხეში უკარ თავია. სიბრძნე-სიცრუის წერისთვის გაგძარცვეს სამფა ტყავია. გრიაგოლ ლალიძე და გუცა ორი წმინდანი ყუღია. მე აღარ ვიცი, გაზეთი რა ჯურის ხალხის ბუღია!..

ხუნავი.

**„ჩვენს მეგობარს“**

„მეგობარო“ ახალ-წელში, კვლავ გისურვებ, გეთხზას ჭოარი: თაღლითობა მიზნათ გქონდეს, და მურალობდე როგორც მძორი, მოკამათეს ველარ სცნობდეთ, ჩამოგენგრათ პრესის ჭერი, მომაკვდავის „აბღ-აუბღა“ აღარ არის დასაჯერი.

დაფინისი და ქლოია.

**„სამშობლოს“**

ვთქვყანას მოძულეებულსა, ყველა თვისკენ სწევს სამშობლოს ბედკრულს,

\*) ნულები მას ლაღადებენ, რომ მუნ საქმე „პრუწათ“ არის. (ცხადია, მათ მოსდის ეგრე, ვინაც მოყემა ქანქარის!)

დაფინისი და ქლოია

მარა ვისა არგებთ თქვენ იმედი რომი ინახეთ გაზეთებს შეტრულსმეტიქა ხუნავი.

**გ ზეთ „სამშობლოს“**

არსებობ, აღარც არსებობ, შემოგზებვია გარს „მლილი“, ხან „ბითური“ ხარ, ხან „რალაც“, ხან, ვითომ, „მამულიშვილი“.

დაფინისი და ქლოია.

**ვაკრებს**

ვმალეთ, ვმალეთ, ვყიდეთ, ვყიდეთ და მოგება სახლში ვზიდეთ.

ხუნავი.

**ვაკრებს**

ინეტარეთ, იმეჯლიშეთ, დღეს თქვენია ბენეფისი, ხალხი სძარცვეთ, ხალხი ყვლიფეთ, კვლავც გასტენეთ დახლი თვისს. თქვენი კრძალვა, თქვენი რიდი ბელზებელსა აბარია, ნიხრი თქვენთვის დაწერილი. გასართობი ზღაპარია


დაფინისი და ქლოია.

**სათავად აწნაურო გიმნაზიას**

ქართულს ვასწავლით, რუსულათ ესმით, რუსული კიდევ ქართულათ უნდათ და რისთვის გიყვირთ, როცა შეგირდნი ლაპარაკობენ და სწერენ ბრუნდათ. ჩვენ სად გვცალია მასწავლებლებსა: ზოგს მაღაზია წიგნის აქვს ბაზრათ, ზოგი თეატრის რეჟისორია და ვის მოუვა ის თავში აზრათ, რომ არ ვასრულებთ მოვალეობას სამშობლოისა წინაშე წმინდათ? მაშ რაღას სწუხართ, მეტი რა გინდათ?

**სათ.-აწნაურო ბანკს**

როცა კრება გაქვთ წლიორი ორ ბანაკათ გაიყოფით, ომი არის გამართული ხმალით, კეტით, ტყუიით, თოფით, მარა როცა დასრულდება საარჩევნო მანერები,



ბანკის კასას კვლავ ერთგულით  
ახვევია გარს წვერები.

**ოეატრს**

გარეთ შეგთითხნეს თეთრი კირითა,  
შიგან სკამები გამოგიკვალეს,  
(ერთში მოვიხდა ის დღე წყეული,  
როცა ფულები ყველამ ივალეს  
და „საკულტურო“ არჩევნებისთვის  
ზომაზე დიდათ შეტი იწვალეს).  
თანაც ფადავა რევისორათ გყავს,  
ლექტორი არის სახელგანთქმული,  
(ერთ მის ლექციას სათაურათა  
ასი სახელი რო აქვს დათქმული.

**„კოპერატციას“**

პური—შაქარი, შაქარი—პური,  
ამ ხმამ წყეულმა წილა ყური.

**შავი ქვის საბჭოს**

აბაშიძე და ბაქრაძე,  
მდივანი და კინიციკო,  
თუ რა ხდება დღეს საბჭოში  
ეგ ღიბაჯ კი ვიცო:  
კიტა იქერს დისა ვირთხებს,  
მას იასონ ეხმარება,  
ხოლო საშას და დათიკოს  
კასის თავენი ეჯავრება.

**ინტელიგენციას**

წინეთ ფუსფუსი ვიკოდით,  
ეხლა ისიც დაგვივიწყდა:  
ძილი, ძილი, მარად ძილი,  
რა ტყბილია ესე ხილი...  
ქალი მიდის ეგერ წყვილი;  
უნდა გაეკრა ერთი კბილი.

**ხუნაგი.**

**ბულგარიბტებს**

თეკლეს ახალ წელს ვულოცავ,  
მატრონას ხუნტრუცობასა,  
ლიზიკას—„პრაპორშჩიკების“  
ასობით კვლავ გაცნობასა...  
იცელქეთ „პაქალუსტებო“,  
იჩქორთულეთ მარადა,  
იქაქანეთ და იგრიხეთ  
ქალაქის ბაღის კარადა.

**დაფნისი და ქლიოა.**

**ბეიოლებს**

საქონლის ექიმს გიწოდებს  
სოფლელი გლეხი კაცია,  
გინდ თქვენ მოგიკლავთ ხარები  
და გინდ ქირს მოუტაცია.

**აგრონომებს**

ლურჯი ქული, მწვანე კანტი,  
კოკარდები ორი წყება,  
ფოლაქები დიუენი  
საქმის კი სულ მივიწყება.

**ხუნაგი**

**ქალ. სანიტრებს!**

ყოჩად ბიჭებო!, რომ ვარგხართ  
ეს ყველასათვის ცხადია,  
იძურწეთ სამიკტროში  
იქ არს ღვინო და მწვადია,  
სქამეთ, ითვიერთ, იჭიპრეთ  
ქალაქს რათ უნდა თვალ ყური,  
იკურთხოს იმის მარჯვენა  
ვინც გამოსწურა კახური!..

**„რეგულიატორ“ განილიაის!**

„კოპერატცივ“ წინ უძღვებარ  
„შესამწნევი“ ორატორი,  
და შექმენი ქუთაისში  
მისთვის „რეგულიატორი“,  
რალაც ხმები თქვენზე ისმის,  
„და არც არი ვგონებ ჭორი;

**ს.ხ. უნ. გამგეობას!**

სადაც მუშის ხელი მხნეობს,  
სად მან როლი ითამაშა,  
ყველგან საქმე წინ-წინ მიდის,  
ილდერგძელეთ... ვაშა, ვაშა...

**გაცას!**

როდესაც ბედაურები  
წყდებიან, იხოცებიან.  
ხომ იცი მოედანზედა  
რა ცხოველები ჩნდებიან...  
თორემ სად შენ და სად კიდევ  
კალამი პუბლიცისტისა?  
შენ უფრო შეგშენს გია ჯან  
დაქერა ხელში „ბოლუსტისა“!

ია ეკლადესი

ცვალეზადი ხარ, ვით მარტი;  
შლევი და დაუღკრომელი,  
დღეს „პეტრეს“ ფიცავ; ხვალ „პავლის“  
მითხარი ვინ გწამს, რომელია?!  
ახალი დრამა ვისმინეთ  
სჩანს რომ კვლავ მახსოვს მშრომელი!...

გრ. ლალიძეს

გრიგოლ იცოცხლე, გილოცავ  
აზარფეშათი ღვინოსა,  
დღე „მეგობრის“ ფურცლებზე  
ლაფშამაც იბრიგინოსა!  
დაუნისი და ქლოია.

ფუტურისტებს

პაოლო და დარიანი  
შეზარხოშდენ გვარიანი  
და რუსეთელ ფუტურისტებს  
ღვინო ასევეს მმარიანი.  
კიტა, ქეიფს რომ თაობდა,  
ფუტურისმთან ხომ დაობდა.  
ხუნგაი.

ფუტურისტებს

ბინძური მზე—სილამაზე,  
დავაყარე სილა—მაზე,  
მოგიძღვენ და შეგთავაზე!..  
დასახარული  
ჩემო მკითხველო! ახალ წელს  
იყავით განახლებული,  
მარად იკითხე „მათრახი“  
მწარ-ტკბილათ შეგზავებული!..  
რომ მზიარული სიცილით  
სპობდე ხალხისთვის ურგებსა:  
მოყვარეს გულში იკრავდე  
მტრებს კი უწვავდე ზურგებსა...  
დაუნისი და ქლოია.

დარამბიულ საზოგადოებას



მამლუბ გედევანიშვილი. ყოფნა, არ ყოფნა!  
საკითხავი აი რა არის.

# შ ა რ ა ლ ა

(სახალწლო)

პატარა ცხოველი არის...  
(სისწრაფით არ ნადიდები.)  
უყვარს მდინარის ნაპირი,  
აყრილი ქალა, დიდები.  
ზურგს ძვლის ჯავშანი ადგია  
ქადრაკულ დანახაზე,  
(საქმე ვერ იზამს ზეირსა  
მსვლელობით მისი მზადეი!)  
აგილოთ სრულად. გეჭირია  
თავიან ბოლოიანა.  
(იგი ვერ ახსნის წარადს,  
ვინც უყვე დაიგვიანა.)

სასმელი გახლავთ—მეორე.  
დღეს მიტომ არ ვეძალევი,  
რომ მთავრობისა ჩვენისგან  
გვაქვს სასტიკ ანაკრძალევი.  
კოტა სიმწარე დაჰყვება  
სიმაგრე შენამკირებსა.

(მუცელსაც წამოუსივებს  
მის მოტრფიალე პირებსა)  
ნახევრათ მოესვით ეგ სითხე  
თავზე ქაფ მოკიდებული,  
ხალო შარადს შეესძინათ  
ტიქისა ძირათ დებული.

უკვე შზათ არის შარადაც!..  
ხელათ რა ჩქარა აიგო?  
(მათრახის კულის ღირსია,  
ვინ ჯერაც ვერა გააგო!)  
წინეთ ხარს ება, ვირს, ძროხას,  
(ზოგჯერ ქალებსაც ჰშენია,  
ზაფხულის მტრიან ქუჩებში  
კორიანტელის მდენია.)  
დღეს, ვინ არ იცის, საოკრად  
გამოიკვალა ღროება...  
და სამკაული ეგ ტურფა  
ლამის ყველაფერს მოება.

შეხედეთ ფურნეს!.. საბრალო!..  
კოლო შეჰყრია დილია...  
მას იგი განძი ცხოველთა  
ერთობ ღუზომო ჰკილია.  
დუქანს შეხედავ საშაქრს,  
და ავიცრემლებს თვალებსა:  
მასაც ისეთი აზია,  
რომ გულქვაც შეიბრალეხსა.  
სადგურში მიხვალ, თეატრში.

(სადა ბილეთებს ჰკილიან,  
უზომოთ დაგრძელებული  
აქაც და იქაც ჰკილიან.  
სად წახვალ, იგი არ ნახო  
დიდ მანძილ დანაკაებში?  
გარს ევლებიან ფუსფუსით  
ქალაქთა ჩვენთა თავები.  
მაგრამ არა სჩანს საშველი  
იზრდება საათობითა...  
იმას სხვა ხერხი სჭირია,  
ვერ მოსპობ ხმლით და თოფითა.

კოლო.

სამსკუდიის ჩაჩოენი  
ი ა ნ ე თ ს

ბრძოლა ჯერაც არ შემწყდარა  
„სამკითხველოს“ ფრონტზედაო.  
ნიკო სჯომნის თუ ილია  
ჯახი გვაქვს ამ ორზედაო.

ს ა მ შ რ ე დ ი ა  
(„დახმარებას“)

პურით და შაქრით განსაზღვრე  
უმეტეს შენი ქონება...  
(თუმცე „არა ერთის პურითა  
იქნების კაცის ცხონება“)

წ. კ. ადგილობრივ განყოფილებას.

არ გისურვებ „სოცხის იგავს“  
(ახალი რომ კარგათ ჰგვიდღე.)  
შხამს ჰირთაგან ვეკაცურის  
გამარჯვებით გამოხვიდე.

გვაჭრთა ბანაკს

ბანკში ფული შემინახავს  
„გამო, გამო გიშერაო“  
ყაჩაღებმა თუ გამიგეს  
ხომ დამტოვეს შიშველო!

საქვ. საზოგ. განყოფილებას

ქველმოქმედება თუ კია  
ის თქვენ გჭირია ყველაო.  
საქმენნი თქვენნი ვლიდიან  
უზომო ნელა-ნელაო.

რკინის გზის კლუბს

წევრები შემოგელია,  
ქანქარიც ერთობ ქრებაო,  
საქმეს რას უზამს მარტოკა  
„კარტოქენიკების“ კრებაო.

ღებოს უფროსს

ჯერ „მუზიკანტი“ ვიყავი  
ხაშურს, ოპერის კაცია,  
სამტრედილაში ჩამოველ  
და გავხსენ კოპერაცია.

მასწავლ. კავშირის გამგეობას

იავ ნანა, ვარღო ნანა,  
იავ ნანინაო.  
დაიძინე გენაკვალე,  
ნუ წახვალ წინაო.

ოცისთავებს

ამბობენ, რომ ენერჯის  
თქვენ ვერაინ დაგიწუნებს,  
ვინძლო კრიჷა გაუკავოთ  
მაგ შავრაზმელ ქალაქუნებს,

მეგობრის კორესპოდენტებს

გისურვებთ, რომ ასში ერთი  
იყოს მართლად ნაუბარი.  
„მეგობარსაც“ შეაწუხებს  
წუმპე თქვენგან ნაუბარი.

„პრიუსკათა“ ჩაის სმაში,  
რა ვქნა, არ ვარ გამოწრთენილი  
წინეთ—ძველათ, კენტი „შაქრიოთ“  
„პრიუსკათ“ კი ესეჷმდი მგონი,  
ეს, კენტი „შაქარს ეხლა ვერ ვსქერეტ,  
როგორ ვაჭრენ ძველი დრონი?!  
იქნებ ვინმემ სიძვირის დროს  
მოახდინეთ გამოკვლევა,  
გკითხავთ: ჩიი ფხვნილი „შაქრიოთ“  
„პრიუსკათ“ თუ დაილევა?!

3.

სადესასწაულო ნატერა

ქართველს ნატერა დლიერ უყვარს,  
ჭირში იყოს, გინდა ლხინში,  
მაგრამ ჭირში რამ ინატროს,  
აგი არც კი გვემტყუნება.

სოლ. ზურგიელიძე.

1.

ფეხშიშველი ვიარები,  
არც ტანზე მაქვს, არც მაქვს ბინა,  
საზარ ომბა ჯაბაგირის  
სიცოტავე მაგრძნობინა,  
რა ვქნა, ველარ აუთავდი  
სახარჯავეებს ყოველდღიურს,  
გულის ძვერით ველოდები  
„პრიბავეებს“ და ტურფა „დლიურს“.  
ოხ, მგოსანი.. მაინც ვიყო,  
რომ ოცნების დავდგა კოშკი,  
ან და იმავე ოცნებითა  
შევქმნა წყვილი „პოლსაპოში“,  
უბინაოთ, უფხვსაცმოთ  
ვინ გაიტანს სულს ამ დროში,  
(წაღებს მაინც ვერ ვიყვი,  
თუნდ ათასიც მქონდეს გროში).

2.

ჩაის ხშირად მაინც ვსამდე,  
რომ მალ-მალე შევთბე ტანში,  
რაით დალევ? შაქარს ვერსად  
ვერ იშოვნე აქ დუქანში.  
თუ იშოვენ თვეში ერთხელ,  
გირვანქაა, ისიც ფხვნილი,

გვედრები ჯოჯობეთო,  
გთხოვ შემქმენი უხილავი,  
რომ ფურნესთან დილით აღრე  
წინ ამოყუო უტებ თავი,  
და სიმშილით ძალმობილმა  
დროზე ვიგლო ლუკმა პური,  
და მასთანვე ავიცილო  
მუჯლოუჯუნი და პანდური.

4.

ბოლოს ამას ვინატრებდი:  
ღამით ვიყო ეტა პრელი,  
რომ ჩემ თვალთა სხივთა ხმლებით  
ბნელ-წყვედიადის იყოს მქრელი,  
და როდესაც ექვს საათზე  
დაბნელდება მთლად ბათუმი,  
კუჩებში არ შევამტვრიო  
უკაბეღათ ხეს ხორთუმი,  
(ხორთუმი სპილოს ცხვირს ჰქვიან,  
რა ვქნა, თავი მეცოდება,  
მაგრამ ზოგი კაცის ცხვირსაც  
ეს სახელი ეწოდება).  
მაინც მიყვარს მე ბათუმი,  
ლამაზია წყნარი, ჩუმი,  
გადასწყვიტე არ მოვშორდე,  
ვიქნე მისი კვლავ ქურუმი.

ლუკაიბის ოგოლი.

თფილისის საოპერო დასს.



სამ მომღერალსა გისურვებთ წყებათ  
დასისა თქვენის სრულ შესესებათ.

## ჭ ი ა თ უ რ ა

კოპერ, საზ. გამგეობას

გისურვებ, რომ ყოფილიყო  
გარე ყველა დასობსა  
და მალე არ მიგკლებოდეს  
პური ჩვენი არსობისა.

დრ. საზ. გამგეობას

თეატრი გამობიხუა,  
თქვენ კი უმზერთ შორიდანა  
კაცმა საქმე რომ მოვანდოთ  
ასე უნდა მოვლა განა?!

სახ ლხო უნივერ. გამ.

დიდია ხალხის წინაშე  
თქვენი შრომა, თქვენი წვლილი,  
განახლების გზას იღიხაროთ  
თუ არ მოგერიათ ძილი.

კლუბს

ქვეყანა რომც გადაბრუნდეს  
არ ჩაიდლოთ გულში დარდი.  
იქეფეთ. ანბრიალეთ,  
ბილიარდი, კარტი, ნარდი.

უმად პიკე. დ.წ. სკ. მოწაფეებს  
ვითომც თქვეში ორი კვირა  
კლასს სცდებოდეს ინსპექტორი?

გეფიცებით, ალღობს ჩემსას,  
ტყუილია, არის კორი.  
ან თუ ვითომც ითენებდეს  
ხშირათ კლუბში ღამეებსა?  
არ გაბრიყვდეთ, არ ირწმუნოთ,  
არ ჩაიდენს ამეებსა.

ვაჭრებს

არ გაძღება თქვენი გული  
იარსებებს თუ კი ფული,  
სძარცვეთ, ჰგლიჯეთ, სწიწკნეთ ხალხი,  
სანამ ელგეთ პირში სული.

ოპ მღვდელს

ვერობაც რომ დაწოშმინდეს,  
განაწილდეს მიწა-წყალი,  
მაინც თქვენ ვერ მორიგდებით,  
არ გაძღება თქვენი თვალი.

ექ. კ-ს


ვენ ხირურგი, ვინ ჩარჩობა,  
კვერცხები და ერბო-ყველი,  
გისურვებთ რომ საქმისათვის  
მოგვეკიდოს მტკიცეთ ხელი.

საავადმყოფოს

მინდა რომ ვსთქვა ფიცი, იგი,  
და მით გული შეიჯერო,  
მეგრამ მაროს ქების შემდგ  
რალა ვსთქვა, ან რა დავწერო!



ჩვენს დრამატიულ ტიპარსა „ტარტოს“  
ამ ოთხ „ნიკიერს“ მივუძღვნით მარტოს.



ქახეთის რკინის გზას.

აჩქარებითო სოფელი  
არავის შეუქამიაო  
ნელა წავალთ და ქე მივალთ  
გზაში თვარ დევიმტვერთო.  
სოფ. ზურგიელიძე.